

შპს გლას ლაინ

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები	10
5. სასაქონლო მატერიალური მარაგები	10
6. ძირითადი საშუალებები	10
7. მიღებული ავანსები	12
8. სასესხო ვალდებულებები	12
9. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი	12
10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
11. ხელფასები და სხვა სარგებელი	13
12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	14
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-12-24	31-12-23	31-12-22
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	55,117	430,897	27,626
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5	667,426	1,031,170	288,059
სავაჭრო მოთხოვნები		145,787	254,684	1,329
გადახდილი ავანსები		4,441	232,948	7,461
საგადასახადო აქტივი		115,608	82,161	8,905
სულ მოკლევადიანი აქტივები		988,379	2,031,860	333,380
გრძელევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	836,517	565,650	510,140
სულ გრძელევადიანი აქტივები		836,517	565,650	510,140
სულ აქტივები		1,824,896	2,597,510	843,520
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		150,699	37,668	3,356
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		13,861	9,642	1,940
მიღებული ავანსები	7	1,100,120	902,524	168,597
საგადასახადო ვალდებულებები		-	18,331	1,136
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,264,680	968,165	175,029
გრძელევადიანი ვალდებულებები				
გრძელევადიანი სასესხო ვალდებულებები	8	1,079,311	1,182,954	904,860
სულ გრძელევადიანი ვალდებულებები		1,079,311	1,182,954	904,860
სულ ვალდებულებები		2,343,991	2,151,119	1,079,889
საკუთარი კაპიტალი				
აკუმულირებული მოგება/ზარალი		(519,095)	446,391	(236,369)
სულ საკუთარი კაპიტალი		(519,095)	446,391	(236,369)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,824,896	2,597,510	843,520

დირექტორი  გიორგი პაპუაშვილი

შპს გლას ლაინ

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	2,676,535	2,671,149
რეალიზაციის დანახარჯები	9	(2,660,629)	(808,961)
საერთო მოგება/ზარალი		15,906	1,862,188
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(385,736)	(417,811)
ხელფასები და სხვა სარგებელი	11	(418,771)	(651,776)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	6	(161,085)	(85,581)
სხვა შემოსავლები		57,646	8,395
სხვა ხარჯები		(256)	(2,195)
მოგება/ზარალი პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(892,296)	713,220
საპროცენტო შემოსავალი		14,121	4,866
საპროცენტო ხარჯი		(81,050)	(8,064)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან		(5,988)	(26,925)
მოგება/ზარალი დაბეგრამდე		(965,213)	683,097
მოგების გადასახადი		(273)	(337)
წმინდა მოგება/ზარალი		(965,486)	682,760

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	(236,369)	(236,369)
წმინდა მოგება	682,760	682,760
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	446,391	446,391
წმინდა ზარალი	(965,486)	(965,486)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	(519,095)	(519,095)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გლას ლაინ დაფუძნდა 2021 წლის 25 ნოემბერს. კომპანიის მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია; თბილისის ზღვის ტერიტორია; თბილისის ზღვის მიმდებარე, ნაკვეთი N52.

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 400322067.

კომპანიის 100%-ანი წილის მფლობელს წარმოადგენს ნუგზარ ქავთარაშვილი (პ/ნ: 08001003822)

კომპანიის დირექტორს წარმოადგენს გიორგი პაპუაშვილი (პ/ნ: 57001019236).

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მეტალო-პლასტმასის პროდუქტების წარმოება, რეალიზაცია და მონტაჟი.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

თარიღი	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	5
მანქანა-დანადგარები	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	3-10

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. კომპანიის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

კომპანიას არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი. შესაბამისად, არ ხდება ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებაზე გადაფასება.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა. აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

3.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) მარაგის შენახვის დანახარჯები; ბ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; გ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი.

3.4 ნასესხები სახსრები (სასესხო ვალდებულებები)

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ გარიგების ხარჯების (მათ შორის სესხის გაცემის საკომისიო) წრფივი ამორტიზაციის მეთოდი არ იძლევა მატერიალურ სხვაობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდთან, ასეთ შემთხვევაში ხდება ამ ხარჯების წრფივი ამორტიზაცია და საპროცენტო ხარჯში აღიარება დროის გასვლის პროპორციულად. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

3.5 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.6 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეეფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

შპს გლას ლაინ

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ლარი)

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფულის ძირითადი ნაწილი განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე, ხოლო ფულადი სახსრების ნაწილს ინახავს სალაროში.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-24	31-12-23
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	38,194	430,888
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	16,923	9
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	55,117	430,897

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები დაყოფილია მასალა-ნედლეულად და მზა პროდუქციად.

მათი ნაშთები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-12-24	31-12-23
მასალა და ნედლეული	625,065	994,752
სხვა მარაგი	42,361	36,418
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	667,426	1,031,170

6. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებზე 2024 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	27,951	6,543	34,494
მანქანა-დანადგარები	586,485	388,500	974,985
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	12,818	5,244	18,062
ავეჯი და სხვა ინვენტარი	8,397	31,665	40,062
სატრანსპორტო საშუალებები	55,535	-	55,535
სულ	691,186	431,952	1,123,138

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3,540	3,665	7,205
მანქანა-დანადგარები	112,668	135,330	247,998
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	2,499	3,616	6,115
ავეჯი და სხვა ინვენტარი	606	8,713	9,319
სატრანსპორტო საშუალებები	6,223	9,761	15,984
სულ	125,536	161,085	286,621

ძირითად საშუალებებზე 2023 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	17,775	10,176	27,951
მანქანა-დანადგარები	528,085	58,400	586,485
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	3,593	9,225	12,818
ავეჯი და სხვა ინვენტარი	642	7,755	8,397
სატრანსპორტო საშუალებები	-	55,535	55,535
სულ	550,095	141,091	691,186

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	828	2,712	3,540
მანქანა-დანადგარები	38,617	74,051	112,668
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	492	2,007	2,499
ავეჯი და სხვა ინვენტარი	18	588	606
სატრანსპორტო საშუალებები	-	6,223	6,223
სულ	39,955	85,581	125,536

შპს გლას ლაინ

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

7. მიღებული ავანსები

კომპანიის მიღებული ავანსები შედგება ისეთი თანხებისგან, რომლის ჩარიცხვაც მოხდა მყიდველების მიერ საანგარიშო პერიოდში და 31 დეკემბრისთვის არ მომხდარა საქონლის მიწოდება. აღნიშნული თანხები უკავშირდება როგორც რეზიდენტ იურიდიულ ასევე ფიზიკურ პირებს.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების რაოდენობა რომელთაგანაც მიღებულ იქნა თანხები და არ მომხდარა საქონლის მიწოდება, გამოიყურება შემდეგნაირად:

მიღებული ავანსები	31-12-24	31-12-23
რეზიდენტი იურიდიული პირები	5	3
რეზიდენტი ფიზიკური პირები	-	1

8. სასესხო ვალდებულებები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება როგორც ეროვნულ ვალუტაში, ასევე, უცხოურ ვალუტაში აღებული სესხებისგან.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სასესხო ვალდებულებები	31-12-24	31-12-23
სესხები ეროვნულ ვალუტაში	462,543	727,330
სესხები უცხოურ ვალუტაში	616,768	455,624
სულ სასესხო ვალდებულებები	1,079,311	1,182,954

9. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მეტალო პლასმასის კარ-ფანჯრების და სხვა ნაწარმის წარმოება და რეალიზაცია და მონტაჟი.

დარიცხული შემოსავალი და მიწოდებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	2024	2023
შემოსავალი, საიდანაც:	2,676,535	2,671,149
შემოსავალი საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან	2,676,535	2,671,149
თვითღირებულება:	(2,660,629)	(808,961)

რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება	(2,660,629)	(808,961)
საერთო მოგება	15,906	1,862,188

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
იჯარის ხარჯი	216,850	192,251
საწვავის და ტრანსპორტირების ხარჯი	24,869	27,413
სერვერისა და პროგრამული მომსახურების ხარჯი	24,763	28,291
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	21,051	21,051
რემონტისა და შენახვის ხარჯი	20,303	20,107
კომუნალური ხარჯი	15,840	9,801
მივლინების ხარჯები	11,637	25,047
მარკეტინგის ხარჯი	6,715	12,468
საბანკო ხარჯი	6,582	9,146
წარმომადგენლობითი ხარჯი	1,139	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	35,987	72,236
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	385,736	417,811

11. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2024	2023
სახელფასო ხარჯი	408,991	638,442
საპენსიო და სხვა სარგებელი	9,780	13,334
სულ ხელფასები და სხვა სარგებელი	418,771	651,776

შპს გლას ლაინ

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

14.1 2024 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 181,009 ლარი, ხოლო 2023 წლის განმავლობაში 281,869 ლარი.

14.2 2024 და 2023 წლების განმავლობაში კომპანიას აღებული ჰქონდა სესხები დამფუძნებლისგან. აღნიშნული სესხების ბალანსები 2024 და 2023 წლების ბოლოს წარმოდგენილია ქვემოთ:

სესხები	31-12-24	31-12-23
დამფუძნებლისგან მიღებული სესხები	616,768	602,954

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.